

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

შინაარსი

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები	14
4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14
5. ძირითადი საშუალება	16
6. წინასწარ გადახდილი ავანსები	18
7. სხვა მიმდინარე აქტივები	18
8. ფული და ფულის ექვივალენტები	18
9. საწესებო კაპიტალი	18
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი		-	-
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები		-	-
საერთო მოგება		-	-
ადმინისტრაციული ხარჯები	4	(446,195)	(1,134,876)
საიჯარო შემოსავალი		7,950	34,893
შრომის ანაზღაურება		(205,863)	(448,488)
ზარალი დაბეგვრამდე		(644,108)	(1,548,471)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(644,108)	(1,548,471)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში			
სულ წლის სრული შემოსავალი		(644,108)	(1,548,471)

დირექტორი: აფხალ კარბახშ რავარი _____

მთავარი ბუღალტერი: ივანე აბესაძე _____

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,173,582	14,469,406
არამატერიალური აქტივი		3,036	3,036
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,176,618	14,472,442
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6	1,174,079	1,070,459
სხვა მიმდინარე აქტივები	7	345,195	192,913
მარაგები		90,010	87,430
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	387
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	12,952	26,766
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,622,236	1,377,955
სულ აქტივები		17,798,854	15,850,397
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	22,282,345	19,862,753
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(4,898,097)	(4,253,989)
სულ კაპიტალი		17,384,248	15,608,764
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	7	118,132	3,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	296,474	238,546
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		414,606	241,633
სულ ვალდებულებები		414,606	241,633
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,798,854	15,850,397

დირექტორი:

აფხალ კარბახშ რავარი _____

მთავარი ბუღალტერი:

ივანე აბესაძე _____

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	19,862,753	(4,253,989)	15,608,764
წმინდა მოგება /(ზარალი)	-	(644,108)	(644,108)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,419,592	-	2,419,592
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	22,282,345	(4,898,097)	17,384,248

დირექტორი: აფხალ კარბახშ რავარი _____

მთავარი ბუღალტერი: ივანე აბესაძე _____

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	შენიშვნა	2018	2017
წლის ზარალი		(639,022)	(1,548,471)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		109,506	153,161
სხვა ხარჯები / (შემოსავლები)		11,984	173,845
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		(517,532)	(1,221,465)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(140,672)	(88,910)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(2,580)	12,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		141,383	(1,221,126)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		(519,401)	(2,518,863)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(1,033,487)	(659,186)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		-	-
გაცემული სესხების წმინდა ცვლილება		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,033,487)	(659,186)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა	10	1,539,074	3,180,402
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული		1,539,074	3,180,402
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)		(13,814)	2,353
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
წლის დასაწყისში		26,766	24,413
ზრდა (შემცირება)		(13,814)	2,353
წლის ბოლოს	9	12,952	26,766

დირექტორი: აფხალ კარბაზო რაგარი _____

მთავარი ბუღალტერი: ივანე აბესაძე _____

განმარტებითი შენიშვნებ (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „არიკი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 400097532 და მისი შვილობილი სს „არიკი“ საიდენტიფიკაციო კოდით 405060534 (შემდგომში „ჯგუფი“) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არიან რეგისტრირებული. კომპანიების იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. თბილისი, ცინცაძის ქ.#12, მე-3 სართული, ბინა #3-15. კომპანიის დაფუძნების თარიღია 2013 წლის 16 აგვისტოს.

კომპანიის მფლობელები არიან: ბეჰრანგ კარბახშ რავარი (პ/ნ 01291016897) და ეჰსან კარბახშ რავარი (პ/ნ 01591016784), თითოეული 50%-50%-ის წილის ფლობით.

ჯგუფი ფლობს 2,360 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, მის ძირითად საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, კვება და ტურიზმი წარმოადგენს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში მუდმივად დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 30 თანამშრომელი (2017: 44 თანამშრომელი).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად,

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები)

ახალი სტანდარტები რომლებიც არ შესულა ძალაში

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ამ თარიღისთვის არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სააღრიცხო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახურლი შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერი	2.6468	2.7940
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერი	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
გაცვლითი საშუალო კურსი 2018 წლის	2.5355	2.9913

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

მანქანა - დანადგარი	10 - 15 წელი;
სატრანსპორტო საშუალება	10 - 15 წელი;
ოფისის აღჭურვა და სხვა	5 წელი;

ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

პროგრამული უზრუნველყოფა

1-5 წელი;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41 სოფლის მეურნეობის სტანდარტის შესაბამისად. ყურძნის მოსავლის აღების პერიოდია ოქტომბერი. მოსავლის მიღებამდე გაწეული ხარჯები აღიარდება მარაგების სახით. მოსავლის მიღების შედეგად ყურძენი გარდაიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციად და მისი შეფასება ხდება გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება აისახება სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. ყურძნის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის მიღების პერიოდისთვის არსებული სავარაუდო საბაზრო ფასით. ვინაიდან არ განხორციელებულა მოსავლის გაყიდვა ღია ბაზარზე, საბაზრო ფასი ხელმისაწვდომი არ იყო, შესაბამისად მენეჯმენტმა საბაზრო ფასის განსაზღვრისას იხელმძღვანელა ამ სფეროში არსებული წარსული ოპერაციების შედეგად მიღებული გამოცდილებით და ცოდნით. ამგვარად განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით ითვლება ყურძნის თვითღირებულებად მოსავლის აღების შემდგომ. ბასს 41-ის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი ცვლილება აისახება სხვა სრულის შემოსავლების ანგარიშგებაში. ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივები აღირიცხება ბასს 16 ძირითადი საშუალებების შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შე საძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში _ პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტუმრტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

კაპიტალი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა.

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

დასახელება	2018	2017
იჯარის ხარჯი	110,751	109,423
ცვეთა და ამორტიზაცია	109,506	153,161
ნერგის ჩამოწერა	-	260,615
ავტოტექმომსახურება	60,509	99,712
საკონსულტაციო და სხვა	45,557	167,090
კურსთაშორის სხვაობა	34,294	36,156
ვენახთან დაკავშირებული ხარჯები	23,569	56,077
საწვავის ხარჯი	12,174	57,890
წარმომადგენლობითი	10,585	32,872
კომუნიკაციის ხარჯი	5,885	13,469
კომუნალური ხარჯები	1,499	7,199
ტრანსპორტირების ხარჯი	4,771	8,774
დაზღვევა	-	3,397
გადასახადები	5,333	52,387
სათარჯიმნო და სხვა მომსახურებები	3,613	11,684
კომპიუტერული ხარჯები	2,618	3,450
ბანკის საკომისიო	805	2,463
სხვა	14,726	59,057
სულ:	446,195	1,134,876

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნებ (გაგრძელება)

5. ძირითადი საშუალება

შპს არიკი (კონსოლიდირებული)	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ბიოლოგიური აქტივები (თვითღირებულების მოდელით)	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,116,313	1,417,558	7,214,610	1,201,118	1,976,193	548,966	135,631	21,317	15,631,706
შეძენა	-	143,818	838,852	270,297	633,922	16,673	4,185	-	1,907,747
ცვეთის კაპიტალიზაცია და აქტივის რეკლასი	-	-	234,538	6,203	(6,203)	-	-	-	234,538
ჩამოწერა	-	-	-	-	(88,980)	-	-	-	(88,980)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,116,313	1,561,376	8,288,000	1,477,618	2,514,932	565,639	139,816	21,317	17,685,011
ცვეთა და გაუფასურება									
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	388,120	17,232	480,407	231,458	39,739	5,344	1,162,300
ცვეთა წლის მანძილზე - ხარჯი	-	-	-	-	1,357	108,149	-	-	109,506
ცვეთის კაპიტალიზაცია	-	-	203,183	-	32,621	3,819	-	-	239,623
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	591,303	17,232	514,385	343,426	39,739	5,344	1,511,429

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

წმინდა საბალანსო ღირებულება									
2018 წლის 1 იანვრის მდგ.	3,116,313	1,417,558	6,826,490	1,183,886	1,495,786	317,508	95,892	15,973	14,469,406
2018 წლის 31 დეკ. მდგ.	3,116,313	1,561,376	7,696,697	1,460,386	2,000,547	222,213	100,077	15,973	16,173,582

განმარტებითი შენიშვნებ (გაგრძელება)

6. წინასწარ გადახდილი ავანსები

ავანსებად გადახდილია თანხები შემდეგი დანიშნულებებით:

დასახელება	2018	2017
მშენებლობა	324,847	274,336
ნერგები	705,480	652,660
სხვა	73,054	72,765
ქარხნის დიზაინი	48,336	48,336
ძირითადი საშუალებები	22,362	22,362
სულ:	1,174,079	1,070,459

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მთლიანად შედგება საგადასახადო აქტივებისგან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	2018	2017
ნაღდი ფული საღაროში (ეროვნული ვალუტა)	1	1,970
ნაღდი ფული საღაროში (უცხოური ვალუტა)	0	0
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	11,261	10,896
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,690	13,900
სულ:	12,952	26,766

9. საწესებო კაპიტალი

2018 წელს, საწესებო კაპიტალის ზრდა პარტნიორების მხრიდან, თანაბარი შენატანით განხორციელდა, ფულადი სახით 1,539,074 ლარი (2017 წელს: 3,180,402 ლარი) და ძირითადი საშუალებების სახით 880,518 ლარი (2017 წელს: 63,249 ლარი), სულ 2,419,592 ლარი (2017 წელს: 3,243,651 ლარი) .

კაპიტალის ზრდა	2018	2017
ფულადი სახით	1,539,074	3,180,402
ძირითადი საშუალებებით	880,518	63,249
სულ:	2,419,592	3,243,651

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალდებულებები შედგება სხვა და სხვა დარიცხული სავაჭრო და საგადასახადო ვალდებულებებისგან.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 დეკემბერს.

შპს „არიკი“

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი		-	-
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული			
პირდაპირი ხარჯები		-	-
საერთო მოგება		-	-
ადმინისტრაციული ხარჯები	4	(446,195)	(1,134,876)
საიჯარო შემოსავალი		7,950	34,893
შრომის ანაზღაურება		(205,863)	(448,488)
ზარალი დაბეგვრამდე		(644,108)	(1,548,471)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(644,108)	(1,548,471)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის			
განმავლობაში			
სულ წლის სრული შემოსავალი		(644,108)	(1,548,471)

დირექტორი:

აფხალ კარბახშ რავარი

მთავარი ბუღალტერი:

ივანე აბესაძე



შპს „არიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,173,582	14,469,406
არამატერიალური აქტივი		3,036	3,036
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,176,618	14,472,442
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6	1,174,079	1,070,459
სხვა მიმდინარე აქტივები	7	345,195	192,913
მარაგები		90,010	87,430
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	387
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	12,952	26,766
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,622,236	1,377,955
სულ აქტივები		17,798,854	15,850,397
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	22,282,345	19,862,753
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(4,898,097)	(4,253,989)
სულ კაპიტალი		17,384,248	15,608,764
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	7	118,132	3,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	296,474	238,546
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		414,606	241,633
სულ ვალდებულებები		414,606	241,633
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,798,854	15,850,397

დირექტორი:

აფხალ კარბახშ რაფარი

მთავარი ბუღალტერი:

ივანე აბესაძე



შპს „არიკი“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	19,862,753	(4,253,989)	15,608,764
წმინდა მოგება /(ზარალი)	-	(644,108)	(644,108)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,419,592	-	2,419,592
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	22,282,345	(4,898,097)	17,384,248

დირექტორი:

აფხალ კარბახშ რავარი

მთავარი ბუღალტერი:

ივანე აბესაძე



შპს „არიკი“

**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	შენიშვნა	2018	2017
წლის ზარალი		(639,022)	(1,548,471)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		109,506	153,161
სხვა ხარჯები / (შემოსავლები)		11,984	173,845
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		(517,532)	(1,221,465)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(140,672)	(88,910)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		(2,580)	12,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		141,383	(1,221,126)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		(519,401)	(2,518,863)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(1,033,487)	(659,186)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		-	-
გაცემული სესხების წმინდა ცვლილება		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,033,487)	(659,186)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა	10	1,539,074	3,180,402
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული		1,539,074	3,180,402
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)		(13,814)	2,353
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
წლის დასაწყისში		26,766	24,413
ზრდა (შემცირება)		(13,814)	2,353
წლის ბოლოს	9	12,952	26,766

დირექტორი:

აფხალ კარბახშ რავარი

მთავარი ბუღალტერი:

ივანე აბესაძე

